საქართველოს შეფასების ასოციაცია
GEORGIAN EVALUATION ASSOCIATION
GEA NEWS

კვარტალური გამოცემა შეფასების შესახებ

ზაფხული 2009

ასოციაციის მიზნები:

მეორე წელია,რაც საქართველოს შეფასების ასოციაცია აქტიურად საქმიანობს დასახული მიზნების მისაღწევად:

- შეფასების, როგორც ქვეყნის დემოკრატიული განვითარებისათვის აუცილებელი დარგის შექმნა და განვითარება;
- შემფასებელთა კვალიფიციური კადრების აღზრდისა და მათი პროფესიული განვითარების ხელშეწყობა;
- შეფასების სტანდარტების დანერგვა;
- შემფასებელთა ქცევის კოდექსის შექმნა;
- შეფასების სფეროს მიმართ საზოგადოებრივი ცნობიერების ამაღლება.

მიმდინარე საქმიანობები

წევრების მოზიდვა

დასახული მიზნების მისაღწევად საქართველოს შეფასების ასოციაცია სხვადასხვა მიმართულებით ატარებს კვლევებს: შეფასების სფეროში მომუშავე სპეციალისტების, დაინტერესებული პირებისა და ორგანიზაციების გამოსავლენად. მათი მოზიდვის,ერთმანეთთან დაახლოების მიზნით ორგანიზაცია სისტემატურად აწყობს სემინარებსა და სამუშაო შეხვედრებს.

სამუშაო შეხვედრები და სემინარები

ასეთი ღონისძიებები ეხმარება შეფასების საკითხებზე სხვადასხვა ორგანიზაციებში მომუშავე პირებს, ერთმანეთს გაუზიარონ დაგროვილი ცოდნა, ინფორმაცია, რაც შემდგომში ხელს შეუწყობს კვალიფიციური შემფასებლების მომზადებას, მეთოდოლოგიური ცოდნის გაღრმავებას და შეფასების სფეროს განვითარების ხედვის ერთობლივ შემუშავებას.

საზოგადოების ცნობიერების ამაღლება

საზოგადოების ინფორმირების, წევრების მოზიდვისა და შეფასების, როგორც დარგის, პოპულარიზაციისათვის ორგანიზაცია გამოსცემს ყოველკვარტალურ ბიულეტენს (რასაც ვებგვერდზე აქვეყნებს) როგორც საკუთარი საქმიანობის, ისე მსოფლიოში მიმდინარე პროცესებისა და მოვლენების ამსახველ მასალებსა და ინფორმაციას.

დარგის ინსტიტუციონალიზაცია

ასოციაციის საქმიანობის ერთ-ერთი ძირითადი მიმართულებაა საქართველოში შეფასების, როგორც დარგის, ინსტიტუციონალიზაციის უზრუნველყოფა. ამ მიზნით, ასოციაცია რეგულარულად მოიპოვებს და აანალიზებს უცხოურ გამოცდილებას იმ ნორმატული ბაზის შესახებ,რაც დასავლეთ ევროპასა და შეერთებულ შტატებში არეგულირებს მონიტორინგსა და შეფასებასთან დაკავშირებულ საკითხებს.

ჩატარებულმა კვლევებმა და სამუშაო შეხვედრებმა (იმ ფიზიკურ და იურიდიულ პირებთან, რომელთაც გააჩნდათ ორგანიზაციის, პროგრამებისა თუ პროექტების მართვის გამოცდილება) ცხადყო, რომ ისინი აცნობიერებენ შეფასების აქტუალობას და რომ ორგანიზაციის შემდგომი განვითარებისთვის მნიშვნელოვანია ფლობდნენ ადამიანურ რესურსს, რომელსაც შეფასების ჩატარების ცოდნა და უნარი ექნება. ამისათვის

კი სასურველია შეფასებისათვის ადამიანური რესურსების მომზადების სისტემის ჩამოყალიბება. ეს შეიძლება განხორციელდეს, ერთი მხრივ, მოკლევადიანი ტრენინგის კურსების წახალისებით და, მეორე მხრივ, საუნივერსიტეტო პროგრამებში შესაბამისი ცვლილებების შეტანით. რესპონდენტები თვლიან, რომ სასურველია შეფასების ზოგადი სტანდარტების შემუშავება. ასეთი სტანდარტები არსებობს დასავლეთის პრაქტიკულად ყველა ქვეყანაში და მათ, როგორც წესი შეფასების ასოციაციები ქმნიან ხოლმე. სტანდარტების მიზანია შეფასების პროცესის დახვეწა და შეფასების ხარისხის ამაღლება. სტანდარტები წარმოადგენს მოთხოვნებს შეფასების პროცესის, მისი დაგეგმვის, მომზადების, ჩატარების, შემფასებელთა ნეიტრალურობის, მონაცემთა შეგროვების, ანალიზისა და სხვა ასპექტების მიმართ. ეს სტანდარტები უმეტესად არასავალდებულო ხასიათისაა ეროვნულ დონეზე, მაგრამ პრაქტიკაში მაინც ფართოდ გამოიყენება იმის გამო, რომ სათანადო ავტორიტეტით სარგებლობს შემფასებელთა წრეებში.

შეფასების, როგორც დარგის, განვითარების ხელშეწყობა. შეფასების დარგის ჩამოყალიბებისა და განვითარებისათვის ჩვენმა ორგანიზაციამ მიზანშეწონილად მიიჩნია ნაციონალური და საერთაშორისო ასოციაციების პრაქტიკული გამოცდილებისა და თეორიის შესწავლა და სხვადასხვა ქვეყნების გამოცემებში თავმოყრილი პუბლიკაციების თარგმნა. დემოკრატიულ ქვეყნებში, პრაქტიკულად ყველა დარგში, სადაც ხორციელდება პროგრამული დაფინანსება, შეფასებითი საქმიანობის მეთოდებისა და ტექნოლოგიების სწრაფი განვითარება მიმდინარეობს. დასავლეთში თითქმის არ არსებობს საზოგადოებრივი ცხოვრების ისეთი სფერო, იქნება ეს გარემოს დაცვა, სოციალური სექტორი, ადამიანის უფლებათა, სასამართლო რეფორმა, სახელმწიფო მმართველობა თუ სამეცნიერო საქმიანობა, სადაც არ მიდიოდეს ინტენსიური კვლევებისა და მეთოდური ექსპერიმენტების საინტერესო პროცესები, რომელთა მიზანიცაა შეფასებითი საქმიანობის სრულყოფა. ასოციაციის წევრები და სხვა დაინტერესებული ორგანიზაციები, ჩვენი აზრით, სასურველია, გაეცნონ როგორც მაღალგანვითარებული ქვეყნების (დიდი ბრიტანეთის, აშშ-ს, კანადის, გერმანიის, შვეიცარიის, ავსტრალიის და ა.შ.), ისე ყოფილი სოციალისტური ქვეყნების შეფასების დარგში დაგროვილ გამოცდილებას, რათა მოხდეს წარმატებული მაგალითების შესწავლა და მათი ქართულ რეალობაში ადაპტირება.

განხორციელებული პროექტი

ჯონ ოუენი „პროგრამული შეფასება, მეთოდები და მიდგომები“

შეფასების დარგის განვითარების ხელშეწყობის, კვალიფიციური კადრების მომზადებისა და საზოგადოების ცნობიერების ამაღლების მიზნით, საქართველოს შეფასების ასოციაციამ მისი პრეზიდენტის ჩინო სააკაშვილის თაოსნობით, ინგლისურიდან თარგმნა და გამოსაცემად მოამზადა ავსტრალიელი ავტორის, ჯონ ოუენის სახელმძღვანელო, „პროგრამული შეფასება, მეთოდები და მიდგომები“ (მე-3 გამოცემა). ჯონ ოუენის სახელი კარგადაა ცნობილი შეფასების სფეროში მომუშავე წამყვანი სპეციალისტებისა და აკადემიური წრეებისათვის. წიგნში პრაქტიკულ მასალაზე დაყრდნობით საიტერესოდაა გაშუქებული პროგრამულ შეფასებასთან დაკავშირებული საკითხები: შეფასების ფორმები (პროაქტიული,

განმარტებითი, ინტერაქტიული, სამონიტორინგო, გავლენის) და მიდგომები,შეფასების შედეგები და მათი გამოყენების მნიშვნელობა, შეფასების სტანდარტები და კრიტერიუმები და ა.შ.

პროექტის ფინანსური მხარდამჭერია შვეიცარიის საელჩო საქართველოში. ამავე პროექტის ფარგლებში, წიგნის პოპულარიზაციისა და საზოგადოებაში შეფასების მიმართ ინტერესის გაძლიერების მიზნით, დამზადდა სარეკლამო ლიფლეტები. წიგნი და ლიფლეტები დაიბეჭდა გამომცემლობა „ტრიადაში“. აღნიშნული ნაშრომის პრეზენტაცია გაიმართება 2009 წლის 16 სექტემბერს, 16 საათზე სასტუმრო „თორში“.

აშშ-ს საერთაშორისო განვითარების სააგენტოს, საჯარო ადმინისტრირების რეფორმის პროგრამის ფარგლებში განხორციელებული პროექტები

„საქართველოს შეფასების ასოციაციამ“ შეერთებული შტატების საერთაშორისო განვითარების სააგენტოს საჯარო ადმინისტრაციის პროგრამის მხარდაჭერით განახორციელა პროექტი, რომელიც მიზნად ისახავდა საქართველოს იუსტიციის სამინისტროს, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ფინანსთა და ეკონომიკის, სოფლის მეურნეობის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროების სამწლიანი (2009-2011) სტრატეგიული გეგმებისა და ერთწლიანი (2009) სამოქმედო გეგმების შემუშავებას.

საქართველოს იუსტიციის, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ფინანსთა და ეკონომიკის, სოფლის მეურნეობის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროები.

სტრატეგიული გეგმის შემუშავების მიზნით თითოეულმა სამინისტრომ სამუშაო შეხვედრა გამართა, რომელშიც სამინისტროების ხელმძღვანელობა და დეპარტამენტების უფროსები იღებდნენ მონაწილეობას. შეხვედრაზე გამოიკვეთა სტრატეგიული გეგმის მონახაზი, სადაც განსაზღვრა და დაკონკრეტდა ის მნიშვნელოვანი, მიღწევადი შედეგები, რაც სამინისტროთა ძირითად, პრიორიტეტულ მიმართულებებში დაისახეს. აღნიშნული შეხვედრების შემდეგ, დეპარტამენტების წარმომადგენლებმა „სტრატეგიული მიზნის ჯგუფებში“ განაგრძეს მუშაობა,რათა გამოევლინათ მომდევნო სამი წლის სამუშაო პრიორიტეტები და განესაზღვრათ თითოეული სტრატეგიული მიზნის შესაბამისი სამოქმედო გეგმები.

სტრატეგიული დოკუმენტის შემუშავების კვალდაკვალ, სამინისტროები კონსულტაციებს მართავდნენ დაინტერესებული მხარეების რამდენიმე ჯგუფთან, მათ შორის, საჯარო და

კერძო სექტორთან, რათა მიეღოთ და გაეთვალისწინებინათ მათი შენიშვნები და მოსაზრებები სტარტეგიული გეგმისა და მისი განხორციელების შესახებ. დაინტერესებული მხარეებისგან მიღებულმა შენიშვნებმა გეგმაში მიზანშეწონილობიდან გამომდინარე ჰპოვეს ასახვა.

გეგმის საბოლოო ვერსიაში წარმოდგენილი ოთხი სტრატეგიული მიზნის სამოქმედო გეგმები აქტივობათა შესრულებისა და შეფასების ძირითად კრიტერიუმებსაც შეიცავს. ამდენად, სტარტეგიულ მიზნებსა და პროგრამის შედეგებს შესაბამისი საქმიანობის ინდიკატორები, საბაზისო და საბოლოო ორიენტირები ახლავს თან, რაც სტრატეგიის იმპლემენტაციაზე სისტემატური მონიტორინგის გაწევის საშულებას იძლევა.

მისამართი: ბახტრიონის ქ. 16. 0194, თბილისი, საქართველო
ტელ: (99532) 366 191, 367 191 ფაქსი: (99532) 366 191
ელ.ფოსტა: gea@evaluation.org.ge
ვებ-გვერდი: www.evaluation.org.ge